პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 49 (959) | კვირა, 10 ივნისი, 1956 წ. | გამოცემის მე-12 წელი | ფასი 30 კაპ.

ფართო გზა ჭადრაკს

სსრ კავშირის ქალთა ნახევარფინალის მიმდინარეობისას დედაქალაქის სპორტული საზოგადოების ყურადღება მიპყრობილი იყო საქართველოს წარმომადგენლების ნ. გაფრინდაშვილისა და მ. ტოგონიძის თამაშზე. ისინი გამარჯვებული გამოდიოდნენ ჩვენს დიად სამშობლოში ცნობილ ოსტატებთან ბრძოლაში და ქულას ქულაზე აგროვებდნენ. ორივემ ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. სასიხარულო ამბავი მოვიდა ერევნიდან. იქ დამთავრდა ზონალური ტურნირი. ნახევარფინალში გავიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები ბ. გურგენიძე და ა. ბუსლაევი.

მიმდინარე წლის ეს არსებითი მიღწევები ჭადრაკში იმაზე მეტყველებენ, რომ სპორტის ეს მეტად სასარგებლო სახეობა ჩვენში ღრმად იკიდებს ფეხს, მაგრამ მისი განვითარების ტემპები ძალიან დაბალია. ამის მიზეზი მხოლოდ ერთია: ნაკლები ყურადღება ექცევა ჭადრაკის მასობრიობას, განსაკუთრებით რაიონებში. ზოგიერთი რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე სრულიად უგულებელყოფს ჭადრაკს. ახალციხეში ოდესღაც იყო საჭადრაკო კლუბი, მუშაობაც მიმდინარეობდა. მისი წარმომადგენელი რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებშიც მონაწილეობდა, მაგრამ ადგილობრივი ორგანოების დაუდევრობით კლუბის შენობა სხვას გადაეცა და მუშაობაც ჩაკვდა. ასეთივე მდგომარეობაა ხაშურში.

რაღა შორს წავიდეთ, დედაქალაქის ცენტრალური საჭადრაკო კლუბი ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს ჭადრაკის მოყვარულთა მოთხოვნებს. საღამოობით კლუბს იმდენი ხალხი აწყდება, რომ შეუძლებელია წესრიგის დაცვა, ფერხდება სეანსების ჩატარება და მეთოდური მუშაობა. თბილისელებს ახსოვთ კლუბში სადემონსტრაციო დარბაზის სიმცირის გამო როგორ გაძნელდა რესპუბლიკის ქალთა ჩემპიონატის ჩატარება. მიმდინარე წლის მოპოვებულმა წარმატებებმა ერთიორად გაზარდეს ჭადრაკისადმი ინტერესი, ამიტომ მომავალი წლის ღონისძიებების ჩატარება კლუბში ყოვლად შეუძლებელი გახდება. ეს საკითხი მეტად დამაფიქრებელია და თუ ჩვენ გვინდა ჭადრაკის ნამდვილი აღმავლობა, მაშინ საჭადრაკო კლუბის ახალ შენობაზეც უნდა ვიფიქროთ.

თუ ქალთა შორის ჭადრაკის დანერგვის საქმეში ასე თუ ისე კარგი მდგომარეობა გვაქვს — წამოიზარდნენ ისეთი ნიჭიერი სპორტსმენები, როგორიც გაფრინდაშვილი, ტოგონიძე, კაკაბაძე, ხაჭაპურიძე და სხვებია, ამას ვერ ვიტყვით ვაჟებზე. უკვე ათეული წლებია მას შემდეგ, რაც ჩვენს წარმომადგენელს სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალში არ უთამაშია. საერთოდ, ახალგაზრდა კადრი მეტად სუსტად იზრდება. ყველა რესპუბლიკურ გათამაშებას იგებენ და ლიდერობენ ძველი თაობის წარმომადგენლნი. იმას ვერ ვიტყვით, რომ ჩვენ ნიჭიერი ახალგაზრდობა არ გვყავდეს, გვყავს, და ბევრ მათგანს კარგი მომავალიც აქვს, მაგრამ საჭიროა მათთან გულისხმიერი, მეთოდურად სწორი მუშაობა.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის მოჭადრაკეებისათვის მოწვეული გროსმაისტერებისა და ოსტატების მონაწილეობით ტურნირების ჩატარებას. ასეთი ღონისძიების გატარება წელს ქალთა ჩემპიონატში მოხერხდა, ვაჟთა ჩემპიონატი კი ძველებურად ჩატარდა. ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის სპორტულმა განყოფილებამ შემდეგისათვის უნდა გაითვალისწინოს რესპუბლიკის წამყვან მოჭადრაკეთა სამართლიანი მოთხოვნა, ტურნირზე ჩამოვიდნენ გროსმაისტერები, საერთაშორისო ოსტატები. ეს საჭიროა არა რეკლამისათვის, არამედ იმისათვის, რომ ჩვენი მოჭადრაკეები ძლიერ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში კიდევ უფრო ღრმად დაეუფლონ თანამედროვე საჭადრაკო თეორიას.

ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტის საქმიანობას (მწვრთნელი ვ. ქარსელაძე). იქ მეტად საინტერესო მუშაობა წარმოებს და ამიტომ საჭიროა ყოველმხრივი მხარდაჭერა.

ჭადრაკი სპორტის მეტად მიმზიდველი სახეობაა. დიდი ლენინი მას „გონების გიმნასტიკას" უწოდებდა. რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების ვალია ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მის განვითარებას.



საქართველოს 1956 წლის აბსოლუტური ჩემპიონი, სპორტის ოსტატი რ. შარაბიძე რგოლებზე ვარჯიშის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ხალხთა სპარტაკიადისათვის

ხალხთა სპარტაკიადაში პირველ სამ ადგილზე გამოსული კოლექტივების დასაჯილდოებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დააწესა სამი პრიზი.

თვითეულ ჯილდოს აქვს თასის ფორმა, რომლის კორპუსი წარმოადგენს მოვარაყებული ფერადი ბროლის ჯამს ლითონის ორნამენტით. ზევითა კორპუსი გაფორმებულია მოკავშირე რესპუბლიკების ღერბებით, რომელთა შორის მოთავსებულია აჟურული ორნამენტი ფერადი ქვებით. თასს ამშვენებს სპორტსმენი ქალისა და ვაჟის ფიგურა სსრ კავშირის ღერბით.

პირველ ადგილზე გამოსული კოლექტივისათვის განკუთვნილი თასის ორნამენტი მოოქროვილი ვერცხლისაა, ჯამი — წითელი ბროლისა. მეორეზე — ვერცხლის თასი, ლურჯი ბროლით, მესამეზე — ბრინჯაოსი, მწვანე ბროლით.

პირველ ადგილზე გამოსული სპორტული დელეგაციისათვის გადასაცემი ჯილდოს პოსტამენტის ბროლებსშუა მოთავსებულია 8 სპორტსმენის ფიგურა, რომელიც წარმოადგენს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში შემავალ სპორტის ძირითად სახეობას.

საჩუქარი მელბურნიდან

რამდენიმე ათასი კილომეტრი აშორებს ლუჟნიკის დამკვრელ მშენებლობას მელბურნიდან. მდინარე მოსკოვის ნაპირას ამჟამად შენდება ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი სპორტული კომბინატი — ლუჟნიკად წოდებული, ხოლო შორს ავსტრალიის ქალაქ მელბურნში ოლიმპიური თამაშებისათვის მზადდება ოლიმპიკ-პარკი (ასე უწოდებენ მელბურნის კომპლექსურ სპორტულ ნაგებობას).

ამას წინათ ლუჟნიკში მოვიდა ამანათი-ბანდეროლი მელბურნის შტამპით. წერილთან ერთად მასში მოთავსებული იყო აბრეშუმის ნაჭერი 4 კვადრატული ნახაზით. ერთ-ერთ მათგანზე მოცემული იყო ოლიმპიური თამაშების მთელი პროგრამა, მეორეზე აღბეჭდილი იყო ოლიმპიური ჩირაღდანი, მესამეზე — ოლიმპარკის ცენტრალური სტადიონი, ხოლო მეოთხეზე — ქალაქ მელბურნის იმ რაიონის გეგმა, სადაც ამჟამად მშენებლობა მიმდინარეობს.

წერილში, რომელსაც ხელს აწერს ავსტრალიის მუშათა ინდუსტრიულ მშენებელთა კავშირის მდივანი ჰ. კლანსი, ნათქვამი იყო: „მივესალმებით ავსტრალიის სპორტსმენებისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს შორის შეჯიბრებას, რომელიც ხელს შეუწყობს მშვიდობის საქმის განმტკიცებას მთელ მსოფლიოში. ჩვენი მშენებელი მუშების სურვილია თქვენი ქვეყნის დელეგაციის შემადგენლობაში საბჭოთა მშენებელი მუშების ნახვა იმისათვის, რათა მათ მეგობრული, ძმური პატივი ვცეთ".

ლუჟნიკის მშენებლებმა გადაწყვიტეს ავსტრალიელ მეგობრებს გაუგზავნონ საპასუხო საჩუქარი — თეფში, რომელზეც დახატული იქნება მოსკოვის დიდი სტადიონის გეგმა.

ჩემპიონატის ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიში

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

პრაღაში დაიწყო ევროპის პირველობის გათამაშება კალათბურთში ქალთა შორის, რომელშიც მონაწილეობს 16 გუნდი: ავსტრია, ბულგარეთი, უნგრეთი, ჰოლანდია, დანია, იტალია, პოლონეთი, რუმინეთი, საბჭოთა კავშირი, გფრ, ფინეთი, საფრანგეთი, შვეიცარია, შოტლანდია, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია.

შეჯიბრებაში მონაწილე კოლექტივები ოთხ ქვეჯგუფად დაჰყვეს.

უკვე დამთავრდა შეხვედრები ქვეჯგუფებში. პირველ ჯგუფში პირველ ადგილზე გამოვიდა ჩეხოსლოვაკია, რომელმაც უკანასკნელი შეხვედრები მოუგო იტალიას — 69:42 და შოტლანდიას — 113:32. მეორე ადგილზეა იტალია, რომელმაც დიდი ანგარიშით დაამარცხა დანიის გუნდი გადამწყვეტ მატჩში.

მეორე ქვეჯგუფში უძლიერესი გამოდგა უნგრეთის სპორტსმენთა კოლექტივი.

მესამე ქვეჯგუფიდან ნახევარფინალში გავიდნენ ბულგარეთისა და პოლონეთის კოლექტივები. ბულგარეთის კარგად მომზადებულმა გუნდმა დაამარცხა ფინეთი (90:36) და იუგოსლავია (71:58). ხოლო პოლონელებმა მოუგეს ფინელებს (76:47) და იუგოსლავებს (78:63). ბულგარეთისა და პოლონეთის გუნდების გადამწყვეტ შეხვედრაში გაიმარჯვეს პირველებმა.

ევროპის ჩემპიონმა — სსრ კავშირის გუნდმა პირველ წრეში ასტრონომიული ანგარიშით დაამარცხა შვეიცარიის სპორტსმენთა კოლექტივი — 153:25. ეს შედეგი სარეკორდოა ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში. შემდეგ ჩვენმა კალათბურთელებმა დაამარცხეს ავსტრიის გუნდი — 121:30 და ჰოლანდიის კოლექტივი — 91:30. მეორე ადგილზეა ამ ჯგუფში ავსტრია, რომელმაც დაამარცხა შვეიცარია (69:24).

პირველ ნახევარფინალურ ჯგუფში შევიდნენ ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, საფრანგეთი და ავსტრია. მეორეში — საბჭოთა კავშირი, უნგრეთი, პოლონეთი და იტალია.

საერთაშორისო მატჩები

განვლილი კვირის მანძილზე საბჭოთა ფეხბურთელებმა ჩაატარეს რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში. „შახტიორი" (სტალინო) პოლონეთში შეხვდა „გურნიკის" ძლიერ გუნდს. სტალინოელებმა პირველი შეხვედრა მოიგეს — 3:1, ხოლო მეორე დამთავრეს ფრედ — 2:2.

ლენინგრადში თამაშობდნენ ადგილობრივი „ზენიტი" და ბულგარეთის გუნდი „უდარნიკი". მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

6 ივნისს ტალინში გაიმართა მატჩი სტოკჰოლმის „სტიურესა" და ტალინის „დინამოს" შორის. საბჭოთა ფეხბურთელებმა წინააღმდეგე დაამარცხეს ანგარიშით 3:0.

8 ივნისს გაიმართა ორი საერთაშორისო მატჩი. მოსკოვში ადგილობრივმა „დინამომ" მიიღო თურქეთის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „ფენერ-ბახჩე". მატჩი მოიგეს დინამოელებმა — 3:1.

ამავე დღეს კიევში ერთმანეთს შეხვდნენ „დინამო" (კიევი) და „უდარნიკი" (ბულგარეთი) გაიმარჯვეს კიეველებმა — 2:0.

„შრომითი რეზერვებისა" და „ანდერ-ლეხტეს" (ბელგია) მატჩი ლენინგრადში დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.



საქართველოს პირველობა

გაიმართა X ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში პირველ ჯგუფში. ქობულეთის „კოლმეურნემ“ თავის მოედანზე მიიღო სტალინირის „სპარტაკი“. მატჩი ჩატარდა „კოლმეურნის“ უპირატესობით, რომელმაც გაიმარჯვა ანგარიშით 3:0.

• • •

თბილისში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები „ლოკომოტივი“ და „დინამო“ I. რკინიგზელებმა მატჩის მეორე ნახევარში გაიტანეს ორი ბურთი მოწინააღმდეგის კარში და გაიმარჯვეს — 2:0.

• • •

ძლიერ ქარში ჩატარდა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოსა და ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდების შეხვედრა. ტრამვაელთა თავდამსხმელები მოქმედებდნენ შეჯგუფებულად, უსისტემოდ, ხოლო ახალგაზრდების იერიშები უფრო ორგანიზებული იყო. ჭაბუკებმა შეძლეს ორი ბურთის გატანა (უნგიაძე, ჩანჩიანი). ტაიმის დასასრულს ტტს-მა გაქვითა ერთი გოლი. მეორე ტაიმში ანგარიში გათანაბრდა — 2:2, მაგრამ ტრამვაელთა ერთ-ერთმა მცველმა თავის კართან შექმნილ სახიფათო მომენტში ბურთი საკუთარ კარში გაიტანა. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს ახალგაზრდა ფეხბურთელებმა.

• • •

თბილისის 26 კომ. სახ. რაიონის ფეხბურთელებმა ბოლო ხანებში გააუმჯობესეს თამაში, მაგრამ გორის „დინამოს“ წინააღმდეგ გუნდი აშკარად სუსტად და უპასუხისმგებლოდ თამაშობდა. გორელებს მთელი თამაშის მანძილზე ხელთ ჰქონდათ ინიციატივა და გაიმარჯვეს კიდეც — 4:0.

• • •

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისათვის მატჩს ფოთის „ბურევესტნიკსა“ და რუსთავის „მეტალურგს“ შორის. პირველ ტაიმში ანგარიში გახსნეს ფოთელებმა. მეორე ტაიმში მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთის კარში 2-2 გოლი გაიტანეს და შეხვედრა დამთავრდა „ბურევესტნიკის“ გამარჯვებით — 3:2.

• • •

საინტერესო იყო მატჩი ქუთაისში ადგილობრივ და ბათუმის დინამოელთა შორის. პირველი ტაიმი ბათუმელებმა დაამთავრეს თავის სასარგებლოდ — 2:0. მეორე ტაიმში ისინი კიდევ უფრო უკეთესად თამაშობდნენ. მათ დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 5:1.

• • •

ქუთაისის „ტორპედოსა“ და სოხუმის „დინამოს“ შეხვედრა, რომელიც ქუთაისში შედგა, დამთავრდა „ტორპედოს“ სასარგებლოდ, ანგარიშით 6:3.

• • •

ქუთაისის გუნდების „დინამოსა“ და „ტორპედოს“ მატჩი, რომელიც წინა ტურებში იყო გამოტოვებული, დამთავრდა ფრედ — 2:2.

• • •

მეორე ჯგუფი. აღმოსავლეთი ზონა. „[illegible]“ (თელავი)-ყვარელი — 3:0, „კოლმეურნე“ (ადიგენი)-„ბურევესტნიკი“ (რუსთავი) — 2:3, ქარელი-გურჯაანი (ნაკრები) — 1:2, „ბურევესტნიკი“ (ბორჯომი)-„ლოკომოტივი“ (გურჯაანი) — 1:1, „სტროიტელი“ (კასპი)-„სპარტაკი“ (თბილისი) — 2:1, „სტროიტელი“ (რუსთავი)-ორ.თქლ. ვაგონშემკ. ქარხანა (თბილისი) — 6:2. დასავლეთი ზონა. „კოლმეურნე“ (ჩოხატაური)-წულუკიძე — 2:2, „სპარტაკი“ (ცხაკაია)-„ვოდნიკი“ (ფოთი) — 4:1, „ბურევესტნიკი“ (გაგრა)-„ბურევესტნიკი“ (ბათუმი) — 1:1. „ლოკომოტივი“ (ხაშური)-„კოლმეურნე“ (ლანჩხუთი) — 0:5, სამტრედია-ხობი — 6:0, „სპარტაკი“ (საჩხერე)-„კოლმეურნე“ (გალი) — 3:1, „შახტიორი“ (ტყიბული)-„ლოკომოტივი“ (ოჩამჩირე) — 2:1.

მასწავლებელთა სპარტაკიადა

გასულ კვირას თბილისში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე გაიხსნა დედაქალაქის მასწავლებელთა სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშია მძლეოსნობა, ცურვა, სროლა, კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი.

უკვე დამთავრდა შეჯიბრება მძლეოსნობაში. გამარჯვება მოიპოვა გარეუბნის მასწავლებელთა კოლექტივმა, მეორე ადგილზე არიან სტალინის რაიონის, ხოლო მესამეზე — 26 კომისრის რაიონის გუნდები. გამარჯვებულთა შორის აღსანიშნავი არიან ნ. კალანდაძე, ქ. მიხაილიდი, ვ. როსტიაშვილი, ა. სადავთი და სხვანი.

ფრენბურთელ ქალთა შორის საუკეთესო გამოდგა კალინინის რაიონის გუნდი, ხოლო ვაჟთა შორის უძლიერესი იყო 26 კომისრის რაიონის კოლექტივი.

საინტერესო იყო ვაჟთა შეჯიბრება კალათბურთში, სადაც გაიმარჯვეს ორჯონიკიძის სახელობის რაიონის მასწავლებლებმა.

ი. ხაბეიშვილი

სპორტული კედლის გაზეთი

თბილისის ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციისა და ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის ინიციატივით გამოვიდა კედლის გაზეთის „სპორტული ცხოვრების“ პირველი ნომერი. გაზეთში მოცემულია ძირეული კოლექტივის მესამე სპარტაკიადის მასალები, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სპორტული ქრონიკა. გაზეთმა გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო კორესპონდენციისათვის, ფოტოსურათისათვის, კარიკატურისა და მეგობრული შარჟისათვის.

გ. ფამილიანტი

სტამბოლის შთაბეჭდილებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆

დ. ციმაკურიძე,

სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის მწვრთნელი.

◆

საღამო უკვე მოახლოებული იყო, როდესაც თვითმფრინავი ვენის აეროდრომზე დაეშვა. ჰოლანდიური საჰაერო ხომალდი, რომელსაც კურსი სტამბოლისკენ ჰქონდა აღებული, მხოლოდ სამი საათის შემდეგ უნდა გამოჩენილიყო. დრო საკმარისზე მეტი გვქონდა და დელეგაციის ერთმა ჯგუფმა აეროდრომის განაპირა უბანს მიაშურა.

ხალხი ბუზივით ირეოდა. რამდენიმე რიგად ჩამწკრივებული ავტომანქანები ჩამავალი მზის სხივებზე ნაირფერი მძივებივით ელვარებდნენ შორიდან. ბავშვების ჟრიამული აყრუებდა მიდამოს. დავინტერესდით, მივუახლოვდით. თურმე ეს ადგილი ვენელთა გართობისა და დასვენების საყვარელი ადგილი ყოფილა. მოკლე, ფრთებშეკრეჭილ, ერთი შეხედვით სათამაშო თვითმფრინავში, რომელსაც გამოცდილი პილოტი მართავდა, ჯგუფ-ჯგუფად ჯდებოდნენ პატარები. თვითმფრინავი ისარივით აიჭრებოდა ჰაერში, აეროდრომის თავზე რამდენიმე წრეს გააკეთებდა და დინჯად ეშვებოდა მიწაზე ახალი „მგზავრების“ მოლოდინში...

დიქტორმა გვაუწყა სტამბოლის თვითმფრინავის ჩამოსვლა. საერთო მყუდროება და სიწყნარე სამგზავრო ფაციფუცმა შეცვალა. სულ მალე 60-ადგილიანმა ვეებერთელა მანქანამ უკანასკნელად დახედა ვენას და ღრუბლებში გაუჩინარდა. მოტორის რიტმულმა გუგუნმა, უინტერესო, ერთფეროვანმა პეიზაჟმა ყველა ფიქრებში ჩაძირა. ჩამოიარა თეთრ ხალათში გამოწყობილმა „სტიუარდესამ“ და ვახშამი ჩამოარიგა.

მგზავრები, რომლებიც ჩვენთან ერთად სტამბოლში მიდიოდნენ, ერთხანს ცნობისმოყვარეობით გვითვალთვალებდნენ, მაგრამ როგორც ჩანს ასეთი გართობა მათ მალე მობეზრდათ და თავი დაგვანებეს. არ გვეშვებოდა მხოლოდ ერთი, შუახნის, დაბალი, მზით გარუჯული თურქი. მის ეშმაკურ და ამავე დროს „მოკრძალებულ“ გამოხედვაში იგრძნობოდა სურვილი, არ გამოპარვოდა ჩვენი არც ერთი მოძრაობა. ამას ყურადღებას არც კი მივაქცევდით და ალბათ მეხსიერებიდან ამოგვივარდებოდა კიდეც, რომ პოგვიანებით, შეჯიბრების დროს იგი არ გვენახა იქ, სადაც თურქეთის მოჭიდავეთა გუნდის ოფიციალური წარმომადგენლები ისხდნენ.

მოგზაურობა დასასრულს უახლოვდებოდა. უკან დაგვრჩა ზაგრები, ბელგრადი და სალონიკი. გადაუფრინეთ გაჩირაღდნებულ სტამბოლის გარეუბნებს და დავეშვით თურქეთის მიწაზე.

ვინაიდან დელეგაციის უმეტესობას საერთაშორისო შეჯიბრებების საკმაო სტაჟი ჰქონდა, ვძლიეთ დაღლილობას და მოვემზადეთ დახვედრის ცერემონიალისათვის. გვიანი ნაშუაღამევის მიუხედავად აეროდრომზე საკმაო ხალხს მოეყარა თავი. აქ იყვნენ თურქეთის ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარე მთელი თავისი ადმინისტრაციული პერსონალით, საორგანიზაციო კომიტეტის წევრები, ჭიდაობის მოყვარულები, პრესის მუშაკები და რეპორტიორები, აეროპორტის თანამშრომლები. გულთბილად შეგვხვდნენ საბჭოთა საკონსულოს წარმომადგენლები.

აეროდრომზე კარგა ხანს დავყოვნდით და ავტობუსებში უკვე ქანცმილეულები ჩავსხედით. ბევრი რამ გვქონდა გაგონილი სტამბოლის სილამაზეზე, ამიტომ ვცდილობდით გზად არაფერი გამოგვპაროდა. 15-კილომეტრიანი ასფალტირებული ტრასის ორივე მხარე ფოსფორის რეკლამებით იყო აბრჭყვიალებული. როგორც ჩანს, რეკლამის შემდგენლები მაინცდამაინც მჭერმეტყველნი არ ყოფილან, რადგან ტექსტები მარტივი და ლაკონიური იყო: „იყიდეთ გერმანული ლუდი“, „შეიძინეთ თურქული სიგარები“, „გვერდს ნუ აუხვევთ ამერიკულ ასანთს“. საათებისა და მანქანების ფირმები კიდევ უფრო სიტყვაძუნწნი გამოდგნენ. მათი რეკლამა მხოლოდ თითო სიტყვისაგან შედგებოდა: „ომეგა“, „დოქსა“, „შევროლე“. ერთ-ერთ მოსახვევში ასეთ ნახატს წავაწყდით — ორი კომფორტაბელური მანქანა შეტაკების შემდეგ „ყალყზე შემდგარიყვნენ“. ეს რეკლამა ალბათ კატასტროფებისაკენ მოუწოდებდა მძღოლებს.

გავიარეთ ხიდი ბოსფორზე და მივადექით ე. წ. ბიზანტიის კარებს, რომელიც კლდეში გამოკვეთილ გვირაბს უფრო წააგავდა. აქედან სულ ახლოს იყო სტამბოლის ევროპული ნაწილი, რომელსაც თურქეთში პერას ეძახიან. მანქანამ სვლას უკლო. ხშირი მოძრაობა იმის მომასწავებელი იყო, რომ ქალაქი სულ სადღაც ახლოს უნდა ყოფილიყო. რამდენიმე წუთის შემდეგ ვეებერთელა ავტობუსი მანქანათა ქარავანს შეუერთდა. ნაშუაღამევის მიუხედავად ქალაქში საკმაოდ დიდი მოძრაობა იყო.

მდუმარედ შეგვხვდა ხუთსართულიანი ევროპული სასტუმრო „პერა პალასი“. როგორც ჩანს, აქ ყველა ღრმა ძილს მისცემოდა. გაგვიკვირდა, რადგან უცხოეთში სასტუმროები და რესტორნები ნამდვილ ცხოვრებას მხოლოდ ნაშუაღამევს იწყებენ. გაგვაოცა იმანაც, რომ არსაიდან არ ისმოდა მუსიკის ხმა და „ღამის რაინდების“ ქანცგამოლეული შეძახილები. მხოლოდ მოგვიანებით გავიგეთ, რომ „პერა პალასში“ უმთავრესად შეჯიბრებაში მონაწილე დელეგაციები იყვნენ გაჩერებული და ადმინისტრაცია ყოველმხრივ უწყობდა ხელს სპორტსმენებისათვის სასიამოვნო პირობების შექმნას. ძალიან კარგი დასვენება, დასვენება იყოს.

სტამბოლი, ან როგორც მას თუ ქეთში უწოდებენ — ისტამბ ნახევრად ევროპული, ნახევ აზიური ქალაქია. ორივე მატე თანაბრად საფუძვლიან პრეტენ აცხადებს ამ ულამაზეს ქალაქზე ძნელი გასარკვევი იქნებოდა რომლის გავლენაა უფრო სა ლიანი, რომ ბოსფორის სრუტ ყოფილიყო. ბოსფორი სტამბ ზუსტად ორ ნახევრად ჰყოფს ამრიგად, ყოველ მატერიკს თა წილს უზღავს. ბოსფორი ორი სტ ბოლის მხოლოდ გეოგრაფიულ ზღვარი კი არ არის, იგი ორი სხ დასხვაგვარი ცხოვრების, ადათებ ზნე-ჩვეულების ბუნებრივ ტიხ წარმოადგენს.

ევროპული სტამბოლი არაფრ არ განსხვავდება ევროპული ქა ქებისაგან. აქ ყოველ ნაბიჯზე შ დებით სავაჭროებს, მაღაზიებს, ნკებს, ადმინისტრაციულ სახლ ძვირფას ვილებს, კაფეებს, რ ტორნებსა და... ღარიბთა კვარ ლებს. ეს სტამბოლი იწვის ისეთ ვე ზერელე ცხოვრებით, როგორ თაც პარიზის, ლონდონის, რომ არისტოკრატული უბნები.

აი, ერთ-ერთ ქუჩაზე, რომელ განთქმულია თავისი კაბარეები შემოუხვია ამერიკელი „ტურის ბის“ ჯგუფმა. რა ჰქნან? რომე გასართობ დაწესებულებას მიაშ რონ? ახედეს კაბარეების წარწ რებს. ერთ-ერთ მათგანს აწერ „პენსილვანია“, მეორეს „ინდიან მესამეს „კალიფორნია“ და ა შემდეგ. ამერიკელები იღიმებია ისინი აშკარად ვერ მალავენ სი მოვნებას. ბოლოს ჯგუფი დაი პენსილვანიის შტატის მაცხოვრ ლები „პენსილვანიაში“ შევიდნ კალიფორნიის მკვიდრნი — „კალ ფორნიაში“, ხოლო ტურისტები ი დიანიდან — „ინდიანაში“. სასია მოვნოა! გონებამახვილურად მო ფიქრებია ქალაქის ხელმძღვანელ ბას ეს ქათინაური ამერიკელები თვის. მაგრამ აბა ერთი ჰკითხ რა აზრისაა ამის შესახებ აზიუ სტამბოლის მცხოვრები, რომე ლიც გათენებისას დგება, კურტან ან ზურგზე მოიკიდებს ვეებერთელ ტვირთს და ბედის საძებნელად ბაზ რისაკენ მიემართება.

სტამბოლის განთქმული ბაზარ პერაშია მოთავსებული. მას ევრ პულ გარემოცვაში სასიამოვნ დისონანსი შეაქვს. აქ მთლიან დაცულია ეროვნული კოლორიტი.

სტამბოლი ამაყობს თავისი ის ტორიული ძეგლებით და ადგილე ბით. პატივსაცემ სტუმარს პირველად მიიყვანენ აია-სოფია ტაძარში. 5 წელიწადს შენდებო მსოფლიო ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ნიმუში, რომელიც ა მოსავლეთის ლაჟვარდში 57 მეტრ სიმაღლეზეა აზიდული. ბევრი ს ინტერესო გადმოცემაა აია-სოფია მშენებლობასთან დაკავშირებულ ამბობენ რომ მას 10.000 მონა აშ ნებდა ბერძენი ოსტატის ისიდორ არტამიუზის ხელმძღვანელობით. ტა ძრის 108 სვეტიდან ბევრი შემოტანი ლია სხვადასხვა ქვეყნიდან. ტა ძარში მოთავსებულია კიდევ ერთ მომცრო საყდარი, სადაც ბიზანტიის იმპერატორების კორონაცია ხდებო და. აია-სოფიას ამშვენებს ვეებერ თელა გუმბათი, რომელიც ოქროთია მოპირკეთებული.

ტაძარში შესვლის წინ ზრდ ლობიანად გვთხოვეს დაგვეტოვე ნა ფოტოაპარატები. თურმე გადაღება აკრძალული ყოფილა. მეტი გზა არ იყო უნდა შევეს ლებინა მათი თხოვნა. თურქები საკმაოდ იჭვიანობენ ამ საგანძუ მიმართ, ცდილობენ მისი სილამაზე ყველასათვის მისაწვდომი არ გა დეს, რათა არ დაკარგონ აია-სოფიას ბრწყინვალება.

(გაგრძელება იქნება)

სურათებზე: ზევით—ცისფერი მეჩეთი, ქვევით — სტადიონი, სადაც ტარდებოდა შეჯიბრება.
ფოტო დ. ციმაკურიძისა